საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2376 2015 წლის 9 ნოემბერი ქ. თბილისი

„2015 წელს განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №1109 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „2015 წელს განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №1109 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) აპრილ-ივნისში გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომია შეადგენს 12 857 927 (თორმეტი მილიონ რვაას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას ოცდაშვიდი) ლარს (დანართი №2);“;

ბ) განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) ივლის-სექტემბერში გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომია შეადგენს 12 749 265 (თორმეტი მილიონ შვიდას ორმოცდაცხრა ათას ორას სამოცდახუთი) ლარს (დანართი №4).";

გ) განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამ განკარგულების პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ეკონომიიდან 9 031 000 (ცხრა მილიონ ოცდათერთმეტი ათასი) ლარი (დანართი №5), „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიმართოს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.";

დ) განკარგულების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს სამინისტროებსა და მათ კონტროლს დაქვემდებარებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებს მიეცეთ უფლება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 2015 წლის იანვარ-სექტემბერში წარმოქმნილი ეკონომია, გარდა ამ განკარგულების 1^1 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობისა, მიმართონ მათ მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად.";

ე) განკარგულების დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ვ) განკარგულებას დაემატოს დანართი №4 და დანართი №5 თანდართული რედაქციით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი N2

ლარებში

დასახელება	წარმოქმნილი ეკონომია
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	51,223.4
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	658,632.1
მ.შ. სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა" და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები	44,472.6
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,177,841.0
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	320,273.8
მ.შ. საქართველოს პროკურატურა	42,456.0
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	370,017.5
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	18,696.0
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	566,662.6
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2,562,738.0
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2,377,743.2
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	248,801.9
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსალებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	399,607.3
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	394,852.1
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	110,930.6
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1,264,422.5
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	141,141.2
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	194,344.0
სულ	12,857,927.3

დანართი N4

ლარებში

დასახელება	წარმოქმნილი ეკონომია
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	18,788.3
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	279,650.1
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	4,147,905.8
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	326,440.3
მ.შ. საქართველოს პროკურატურა	*7,676.0*
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	322,120.6
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	16,044.0
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	442,831.3
მ.შ.სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	*13,443.2*
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,163,552.3
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	4,442,275.5
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	251,550.1
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	141,605.0
საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	733,591.4
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	250.0
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	326,727.5
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	63,895.6
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	72,038.1
სულ	12,749,265.8

დანართი N5

ლარებში

დასახელება	წარმოქმნილი ეკონომია
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	4,147,000.0
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	442,000.0
მ.შ.სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	*13,000.0*
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	4,442,000.0
სულ	**9,031,000.0**